ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №794679

ნომერი: AR1145743

თარიღი : 10.07.2013

გაცემის თარიღი : 16.07.2013

გაცნობის თარიღი : 17.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 21 , (ნაკვეთი 08/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ჟვანია პ/ნ 01007009586
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 73 ბ. 24-25

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. ,,Cube-X" კოდი: 400024184

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

არსებული სიტუაციის ფოტოსურათებიდან ირკვევა, რომ სარდაფში ჩასასველი კიბის მოწყობა უკვე განხორციელებულია, ასეთ შემთხვევაში "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისთვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდეს უნებართვოდ დაწყებული მშენებლობის დემონტაჟი, გადაუღეთ ახალი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და წარმოადგინეთ ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი აქტი.

აგრეთვე ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები:

1. წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ხდება სარდაფში ჩასასვლელის რეკონსტრუქცია და არა მარტო საჩრდილობლის მოწყობა. რისთვისაც საჭიროა ნომენკლატურაში მითითებილ ნომენკლატურასთან ერთად დამატებით აირჩიოთ "ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი - ქმედებები რეკონსტრუქცია" და "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება - ქმედებები რეკონსტრუქცია" და შეავსოთ შესაბამისი ველები, რისთვისაც გეძლევათ ნომენკლატურის ცვლილების საშუალება და შესაძლებელია ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.

2. დასახვეწია ჩასასვლელისა და საჩრდილობლის ვიზუალური მხარე და დიზაინი. საჩრდილობელი მოეწყოს უფრო მსუბუქი და თანამედროვე მასალის საყრდენების გარეშე არსებულ შენობათან მისადაგებული სახით.

3. სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები როგორც გვერდითა ასევე იმ რაკურსიდან გადაღებული, სადაც გამოჩნდება ჩასასვლელი კიბე და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟი ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.